

ვახტანგ მაღრაძე

საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები თუ ბარბარიზმები

ერთ-ერთ თავის ნაშრომში ვარლამ თოფურია წერდა: „ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ყველა ლიტერატურული ენის თანმხლებია. ცნობილია, მაგ., ჰურიზმისათვის, ენაში შემოსულ უცხოურ ელემენტთა თუ სიტყვათა განდევნისათვის ჩატარებული მწვავე ბრძოლა ჩეხეთში, რუსეთში და სხვაგან“ (თოფურია, 1965:32). დავძენთ, რომ ასეთივე მდგომარეობაა დღესაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სომხეთში...

თანამედროვე ავტორები (მედია იქნება ეს თუ სამეცნიერო ნაშრომები, ორიგინალური მხატვრული თუ თარგმნილი ლიტერატურა) გატაცებული არიან უცხოური სიტყვების გამოყენებით. მხედველობაში გვაქვს ის ნასესხობები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დამკვიდრდა და ეგრეთ წოდებულ საერთაშორისო, ინტერნაციონალურ სიტყვებს განეკუთვნება.

უდავოა, რომ ლექსიკური შედგენილობა ენაში ყველაზე ადვილად და ყველაზე მეტად იცვლება, მოძველებული სიტყვები ხმარებიდან გამოდის, ენაში შემოდის და მკვიდრდება ახალი სიტყვები. ეს შენაძენი ხშირად მეტია დანაკარგზე. ცვლილებების პროცესში ენის ლექსიკა მდიდრდება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. ენა ცოცხალი ორგანიზმია და, ბუნებრივია, იგი განუწყვეტლივ ვითარდება.

ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წყაროა ნეოლოგიზმები, კალკები და უცხო ენათაგან სიტყვების სესხება. ჩვენი ყურადღება ამჯერად უცხო ენებიდან შემოსულ, ეგრეთ წოდებულ, საერთაშორისო სიტყვებს შეეხება, რომლებიც მკვიდრდება ენაში ახალი, მანამდე უცნობი ცნებისა თუ მოვლენის აღსანიშნავად. ხშირია ახალ ტერმინთა სესხება: *ნეპოტიზმი, ლუსტრაცია, ფულპროფესორი, კოლოკვიუმი, კადასტრი, რეესტრი, დეპარტამენტი, რეინჯერი, მენეჯერი, პოტენცია, როტაცია, პასტა, პიარი, სტეპლერი...* მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სიტყვათა სესხება ყველა ენისათვის ბუნებრივი პროცესია. უცხო მასალა დროთა განმავლობაში უსისხლხორცდება მსესხებელი ენის ლიტერატურულ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებს ენას.

საჭიროების გამო ნასესხები სიტყვები და თქმები, ასევე სიტყვის ფორმები მშობლიური ენის განვითარებისთვის დადებითი, კანონზომიერი, ისტორიული მოვლენაა. ისინი, როგორც ყოველდღიურად გამოყენებული ენობრივი ელემენტები, ახალი საგნებისა და მოვლენების ზუსტად გამოხატვით აადვილებს ადამიანთა ურთიერთგაგებინებას. ამდენად, ნასესხობები ბუნებრივად ისე ეთვისება მსესხებელ ენას, რომ ამით იგი არათუ კარგავს თვითმყოფობას, არამედ ივსება ახალი საჭირო ელემენტებით და განაგრძობს განვითარებას თავისი შინაგანი მტკიცე კანონებით. ხშირია შემთხვევები, როცა ნასესხები სიტყვა განიცდის რა მსესხებელი ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ გავლენას, ისე იცვლება, რომ დროთა განმავლობაში კარგავს თავის პირვანდელ სახეს და მშობლიური ენის სიტყვებისაგან არც კი გამოირჩევა. ასეთი სიტყვები მრავლად მოგვეპოვება. უმეტეს შემთხვევაში ვერც კი ვხვდებით, არის თუ არა ესა თუ ის სიტყვა ნასესხები (ბასილაია, 1991:106). მაგალითად, ჩვენი ყოველდღიურად გამოყენებული სიტყვები:

საინი, ქილა, სუფრა, სურათი, ქეიფი, ფუთა, თასი, თარჯიმანი, ზარალი, ზანდუკი, ღალატი და მისთანები ნასესხებია არაბულიდან;

თეფში, ქუჩა, ხურდა, ზანტი, თარი, ქომაგი, ქაჩალი... – სპარსულიდან;

ქორფა, ქოფაკი, ბაზარი, ოდა, კოშკი, ფანჯარა, ფორთოხალი... – თურქულიდან;

პედაგოგი, აგრონომი, პოეტი, დემოკრატია, არისტოკრატია, ფილოსოფია, ფიზიკა, ქიმია, ბიბლიოთეკა, ბიოგრაფია, თეატრი, ტელესკოპი, ატომი, ტონი, გენეზისი, ლოგიკა, პარაგრაფი, პროგრამა, მეტრი, კილომეტრი, ჰაერი, სკოლა, ფანარი, ეკლესია, კლიტე, მელანი... – ბერძნულიდან;

აგვისტო, აპრილი, დეკემბერი, უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, რექტორი, პროფესორი, ლექტორი, სტუდენტი, დირექტორი, პროფესია, ლიტერატურა, პროზა, პროგრესი, რესპუბლიკა, რადიო... – ლათინურიდან;

მარშალი, მინისტრი, ტირე, ვალსი, არმია, პერსონალი, მოდელი, პარამუტი, ჟარგონი, ჟურნალი, ბალი, ბალადა, ლამპა... – ფრანგულიდან;

სპორტი, რინგი, ჩემპიონი, ლიდერი, ჰოკეი, მიტინგი, ტანკი, ტრაქტორი, ვაგონი, ვაგზალი, სეინერი, რევოლვერი... – ინგლისურიდან;

ლანდშაფტი, შტაბი, პლაკატი, პლაცკარტი, მარკა, ტაბელი, პაკეტი, ლინზა, პარიკმახერი, ლოზუნგი, გასტროლი, შტატი, გრაფი... – გერმანულიდან;

პიანინო, ბალეტი, ოპერა, დუეტი, კანტატა, სოლისტი, სონატა, ვირტუოზი, კარიკატურა, გვარდია, კომპასი, ტორტი, გრანიტი, ფრესკა... – იტალიურიდან და სხვ.

სხვა ენებიდან ნასესხები საყოფაცხოვრებო სიტყვების გარდა, ქართულში ამჟამად მრავლად მოიპოვება საერთაშორისო, ანუ ინტერნაციონალური სიტყვებიც, რომლებიც შემოსულია წიგნური გზით, უმთავრესად, მეცნიერული, ტექნიკური ტერმინების სახით და, ძირითადად, მომდინარეობს ევროპული ენებიდან.

საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები, ე. წ. ინტერნაციონალიზმები, ჩვეულებრივ, ბარბარიზმებად არ ფასდება. მაგ.: ლოგია, გეოგრაფია, ფილოლოგია, კრიტიკა... ბარბარიზმებისა და ინტერნაციონალიზმების მიმართ განსხვავებული პოზიცია მკაფიოდაა გამოკვეთილი ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: „მე ოსტროვები“ და „ლინიები“ „... ამისათვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში...“, ხოლო „კრიტიკის“ „...თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ... „კრიტიკა არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“.

თუმცა დავიმოწმებთ აკად. არნ. ჩიქობავას სიტყვებს: „უკიდურესობას წარმოადგენს განუკითხავად შემოტანა უცხო სიტყვებისა მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არის; თუ სათანადო სიტყვა შეიძლება დავძებნოთ საკუთარ ლექსიკურ ფონდში ანდა ვაწარმოოთ არსებულ სიტყვათაგან, სესხება გაუმართლებელია. ასეთ პირობებში სესხება ანაგვიანებს ენას“ (ჩიქობავა, 1952:25).

საჭიროების გარეშე უცხო სიტყვის ან შესიტყვებების შემოტანა-სესხება (ან არსებული სიტყვის ნაწილობრივი შეცვლა) გაუმართლებელია, როდესაც მსესხებელ ენაში შესატყვისი სიტყვა-ტერმინი მოიპოვება.

დაუკვირვებლობისა თუ უყურადღებობის გამო დაბრკოლები-სა და შეზღუდვის გარეშე შემოდის და დამკვიდრებას ცდილობს, ერთეულ წოდებული, საერთაშორისო სიტყვა-ბარბარიზმები.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

კელია - ქრისტიანობა საქართველოში რომ რუსეთზე ბევრად ადრე გავრცელდა და დამკვიდრდა, ამის შეხსენება არავის სჭირდება. შესაბამისად, საეკლესიო ტერმინებიც ბევრად ადრე შეიქმნა ან უშუალოდ ბერძნულიდან შემოვიდა. ქართველებს ბერძნებთან უხსოვარი დროიდან ჰქონდათ კულტურული, წიგნიერი ურთიერთობა, მაგრამ ქართულმა ენამ ბერძნული *კელიონი* კი არ გამოიყენა, მას შეუსატყვისა *სენაკი*. საინტერესოა, რა აუცილებლობას წარმოადგენს ამ სიტყვის რუსული ფორმის *კელია* დღეს ასე აქტიურად ხმარება. „ახლა აპირებს კელიების აშენებას“ („გუმბათი“, 2008, №20), „... მის კელიას მიუახლოვდა კაცი...“ („თბილისელები“, 2014, №5), „მონასტერში საკუთარი კელიები ჰქონდათ“ („სარკე“, 2007, №8), „იგი კელიიდან გამოვარდა“ („ფენომენი“, 2014, №8). [მამა გაბრიელის] „...კელიაშიც ხშირად მიწევდა ყოფნა“ და იქვე: „მამა გაბრიელის სენაკში ყველგან ხატები ეკიდა“ („თბილისელები“, 2008, №8).

პროტოკოლი - ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს წესების ერთობლიობას, რომელსაც იცავენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებანი, დიპლომატები, სხვა ოფიციალური პირები საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ხშირად ქართულ მედიაში რატომღაც რუსულში დამკვიდრებული *ოქმის* მნიშვნელობით იყენებენ, მაგალითად, „ეს სიტყვები მოგვიანებით შემდგარი პროტოკოლიდან არის ამოღებული“ („იდუმალების სამყარო“, 2006, №41).

ეფირიც ბერძნული სიტყვაა და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის საინტერესოა მეორე: გარემომცველი საჰაერო სივრცე, ჰაერი, სადაც ვრცელდება რადიოტალღები. ქართულში ეს სიტყვა დიდი ხანია *ეთერ* ფორმითაა დამკვიდრებული. *ეფირი* კი რუსულში გვხვდება, მაგალითად, „ამის დასტურად ეფირშიც გაისმის...“ (გეწამე, 1963: 90).

საფირონი - ამ სიტყვას ბერძნულად *საფიროსი* ეწოდება, ხოლო რუსულად - *საფირი* და სწორედ რუსულის გავლენითაა დამკვიდრებული *საფირი* ფორმით: „საცოლეს საფირებითა და ბრილიანტებით გაწყობილი სამაჯური აჩუქა“, თუმცა აღსანიშნავია, რომ *საფირონი* ადრევე შემოვიდა ენაში. რუსული ვარიანტის გამოყენების მცდელობა ბარბარიზმია. მაგ., „...ქმარმა მას ძვირფასი, საფირებითა და ბრილიანტებით გაწყობილი სამაჯური აჩუქა“ („სარკე“, 2011, №52).

ტრენინგი - ინგლისური სიტყვაა და ქართულად წვრთნას, ვარჯიშს, სავარჯიშო რეჟიმს ნიშნავს. „ამაზე დამჭირდა დიდი ტრენინგი“ („თბილისელები“, 2014, №2.), *ტრენერი* სწორედ აქედან მოდის და ქარ-

თულად სპორტის რაიმე სახეობის *მწვრთნელს* ნიშნავს. წინადადებას, რომელსაც განვიხილავთ, გონებრივ წვრთნა-დახვეწასა და გავარჯიშებას მიუთითებს: „...*შვეიცარიიდან ელიტური... სკოლის ტრენერები გვყავს ჩამოყვანილი*“ („სარკე“, 2014, N18). დღევანდელ მედიაში ყველა ტრენერია განურჩევლად, ეს შეეხება გონებრივ თუ ფიზიკურ გავარჯიშებას. არადა, ქართულში მშვენიერი სიტყვები გვაქვს: *დამრიგებელი, ხელმძღვანელი*. ჯერ კიდევ შოთას უწერია: „*გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს...*“ (რუსთაველი). თუ მაინცდამაინც მწვრთნელის გამოყენება უხერხულობას იწვევს, უცხო სიტყვებით ვითომდა ენის გამდიდრებას, ისევ ქართული ლექსიკის დასესხება აჯობებდა და ორაზროვანიც აღარ იქნებოდა: *ჯგუფების დამრიგებლებად, ხელმძღვანელებად შვეიცარიიდან ჩამოვიყვანეთ ელიტური სკოლის...* და შემდეგ როგორც ტექსტშია.

ან რა გამართლება აქვს შემთხვევას, როცა ბარბარიზმი და ენის ძირეული სიტყვა შეწყვილებულია სინონიმებად: „...*დედაც და მამაც ტრენერთან წამოყვანენ. მწვრთნელთან ერთად დამადებინეს პირობა...*“ („თბილისელები“, 2015, N34.). ერთსა და იმავე სტატიაში, ერთმანეთის მიყოლებულ წინადადებაში, ორი სხვადასხვა ენობრივი შრეა გამოყენებული. ეს განა ენის გამდიდრება?

ტენისი - ინგლისურიდან მომდინარეობს და ქართულად *ჩოგბურთი* ეწოდება. ვითომ უცხოურად გამოყენების შემთხვევაში სპორტის ამ სახეობისადმი ლტოლვა და დაინტერესება გაძლიერდება?

ბაგაჟი - ინგლისური წარმოშობის ეს სიტყვა ნიშნავს ბარგს, შეფუთულ ნივთებს, გემით, თვითმფრინავით... გადასაზიდად. *ბაგაჟი* და *ბარგი* ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია.

„...*თვითმფრინავიდან ბაგაჟს ტვითავდნენ...*“ (ჩხეტიანი, 2013: 64), „*ოჯახის უფროსიც გამოჩნდა და კლიენტს ბაგაჟის თაობაზე შეკითხა...*“ („სარკე“, 2013, N38.), „...*თქვენს ბაგაჟზეც მინდოდა, მეკითხა... თუ ჩემოდნების იქ დატოვება გადაწყვიტეთ... ავტომობილს გამოგიგზავნით*“ (ჩხეტიანი, 2013: 64)...ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობით შევხვდებით თარგმანებში: „საინტერესოა, რა *ბაგაჟის* პატრონია „ღვთაებრივი“ დიტო“ (ზურჭულაძე, 2008: 75).

ბოქსი - ინგლისურია და რამდენიმე განმარტება ახლავს: საავადმყოფოებში პალატის მომინული ნაწილი, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს; ჰერმეტიკული კამერა, ცალკე სადგომი ერთი ავტომობილისათვის; ერთგვარი ტყავი; მამაკაცის თმის გაკრეჭის სახეობა... ამ მნიშვნელობებთან ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს, მაგრამ საინტერესოა

ბოქსი – კრივის, სპორტული თამაშის შინაარსით. ეს უკანასკნელი ბარბარიზმია, რადგან ქართულ ლექსიკაში სიტყვა *კრივი* დიდი ხნის დამკვიდრებულია. მოვიგონოთ გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზი“: „აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!..“ (ორბელიანი, 1992: 338). რა უპირატესობა აქვს ბოქსს კრივთან შედარებით? ამ შემთხვევაში უცხოური ტერმინის გამოყენება გაუმართლებელია, ბარბარიზმია.

„*ბოქსში* ხომ არსებობს წონითი კატეგორიები“ (სარკე, 2008, N44), ბრძოლის ხანგრძლივობა *ბოქსში* გრძელდება...“ („ელიტ. ქრონიკა“, 2004, N13)...წერილები ნახეს, ერთმანეთს... სწერდნენ ის *ბოქსიორები*...“ („სარკე“, 2014, N21).

კლუმბიც ინგლისურია და ყვავილთა მწკრივს, *ყვავილნარს* ნიშნავს. „ფოტოებზე ვიღებდით... შადრევნებს, კოხტად შეკრეპილ გაზონებს, უცხო ყვავილების *კლუმბებს*“ (ბერიძე, 1988:88).

რელსი ინგლისური სიტყვაა. *ლიანდაგი* – ფოლადის ვიწრო ძელია, რომელზეც ვაგონის თვლები მოძრაობს. „*მთელს ქვეყანაზე უკვე აღარავინაა, გარდა...გამხმარი სისხლისფერი გზისა და წვეთისაგან დასველებული რელსებისა*“ (მოწენიძე, 1977:449), „*რელსების პირაპირებზე ღრჭიალებდა თვლები...*“ (მოწენიძე, 2010:7), „...*სწორედ კონკუსანტებმა გადმოიყვანეს თავიანთ რელსებზე ტელევიზორებიც*“ („თბილისელები“, 2015, N36), „*სავარაუდოდ, შენობის გასწვრივ გაყვანილ რელსებზე მოძრაობს*“ („იდუმალების სამყარო“, 2007).

კანისტრაც ინგლისურია და მჭიდროდ დახურული ლითონის ან პლასტმასის ჭურჭელს ჰქვია, რომელიც ბენზინის, საპოხი ზეთებისა და მისთანათა ავტომობილით გზაში წასაღებად გამოიყენება. „რავინელი ვეებერთელა *კანისტრას* დებს თავის ადგილზე...“ (მოწენიძე, 1977: 449). ვინაიდან ამ სიტყვას ქართულში ძირეული შესატყვისი არ გააჩნდა, ენაში უმტკივნეულოდ მოიკიდა ფეხი.

ნული ლათინური სიტყვაა და ქართულში სწორედ ამ ფორმითაა შემოსული. ამის დასტურია მისგან ნაწარმოები *ნულოვანი* ფრე. თუმცა ქართულში რუსულის გავლენით, რომელშიც ნულიცა და ნოლიც პარალელური ფორმებია, იყენებენ *ნოლს*: „*თბილისის „დინამო“ ერევნის არარატს შეხვდა და დაამარცხა ანგარიშით სამით ნოლი*“ („სარკე“, 2008, N26). მაგრამ ენამ რომ უპირატესობა ნულს მიანიჭა, იქიდანაც ჩანს, რომ ახალი სიტყვის, ზედსართავი სახელის (*ნულოვანი*), საწარმოებლად *ნული* გამოიყენა და არა *ნოლი*. მაგ.: „*ჩემი სპეცია-*

ლობა ნულამდეა დასული“ („თბილისელები“, 2004, N25.), „...რთულია ცხოვრების ნულიდან დაწყება“ („სარკე“, 2014, N13). „ჩემს ცხოვრებაში თუ ინგრევა, ყველაფერი ერთად ინგრევა. ძალიან ემოციური ვარ და ასეთ დროს ვწულები“ („სარკე“, 2015, N42).

შარმი - ფრანგული ენიდან შემოსული სიტყვაა და *ეშხს*, *ხიბლს* აღნიშნავს. ამდენად, ამ სიტყვის ენაში შემოტანის აუცილებლობა ნამდვილად არ იყო. „გიყურებ და შენმიერი/ სიყვარულის შარმი მახლავს,/ შენისთანა მშვენიერი/ არც არასდროს არ მინახავს“ (ჩარკვიანი, 2003: 344), „...მარტო ლამაზი კი არა არ იყო, რადაცნაირი შარმი ჰქონდა“ („თბილისელები“, 2008, N28), „...ამის პარალელურად, თავიანთი შარმი და ტრადიციებიც არ დაკარგეს“ („ელიტ. ქრონიკა“, 2004, N13), „...მისმა გარეგნობამ, შარმმა და გონებამ იმთავითვე მომხიბლა“ („რეიტინგი“, 2008, N23), „იქნებ ახლომხედველი ქალბატონების საქვეყნოდ აღიარებული შარმიც ამითვე აიხსნება?“ („იდუმალების სამყარო“, 2006). მართებული მაგალითია: „...მაგრამ ეს მის ხიბლს არანაირად არ აკნინებს...“ (ლოტიძე, 2012: 31), იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორებს ამ სიტყვის მნიშვნელობა გააზრებული არ აქვთ, თორემ ქართულ სიტყვებს სინონიმად არ გამოიყენებდნენ შემდეგ წინადადებებში: „ყველა ქვეყანას თავისი შარმი აქვს, თავისი ამოუცნობი ხიბლი და ისტორია“; „ქალურ ხიბლს დოგმა და ჩარჩო არ მოეძებნება, ზოგი ქალი არცთუ ისე ლამაზია, მაგრამ მას რაღაც შარმი, ხიბლი აქვს“; „ლამაზი, სექსუალური, გამომწვევი, შარმიანი, ეშხიანი – აი, ასეთი ქალი იმსახურებს ჩემთვის ამ ტიტულს“. კომენტარი, ვგონებ, ზედმეტია.

ტროფი - ფრანგულიდან მომდინარე სიტყვაა და ომში გამარჯვებულის მიერ ხელში ჩაგდებული ნადავლის, ალაფის შესატყვისია. საინტერესოა, რატომ უნდა ვიხმაროთ ეს სიტყვა სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვებით, დაუღალავი ვარჯიშით, ხანგრძლივი წვრთნით მოპოვებული *ჯილდოს* აღსანიშნავად? გაუგებარია, რითია უცხოური სიტყვა უმჯობესი ქართულზე. საინტერესოა, რომ რუსულის გავლენით ქართულში ხშირად *ტრაფეის* ხმარობენ, რაც, მით უმეტეს, მიუღებელია.

პროვიანტი გერმანული სიტყვაა და ნიშნავს *სურსათს* (უპირატესად ჯარისათვის). ისევ მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონს დავიმოწმებთ – პროვიანტის განმარტებასთან მითითებულია, რომ ეს სიტყვა მოძველებულია. მისაღებია ძველი ქართულიდან სიტყვის გაცოცხლება, წინ წამოწევა და რაიმე ტერმინის აღსანიშნავად გამოყენება, მაგრამ

უცხოურის ხელახლა დამკვიდრების მცდელობა, რაც ენამ ერთხელ უკვე უკუაგდო, სრულიად გაუგებარია.

შემდეგი სიტყვებიც გერმანულია: *შურუპი* – სამაგრი, *მატრასი* – ლეიბია... გერმანულია: *შპიონი*, რომელიც ქართული *ჯაშუშის* შესატყვისია. მისმა ხშირმა ხმარებამ ხელი შეუწყო ენაში ახალი სიტყვის – *შპიონაჟის* – გაჩენას და ქართული *ჯაშუშობის* უკანა პლანზე გადაწევა;

ზამში პოლონური სიტყვაა და საგანგებოდ გამოყვანილი, ხავერდოვანი ზედაპირის მქონე რბილი ტყავია (ირმისა, თხისა, ცხვრისა და მისთ.), „წელს მოდურია „ზამში“ („რეიტინგი“, 2010, №41), „მას ზამშის ქაშირანი ლაბადა ეცვა“; „მაიორმა მოიხსნა სათვალე და ზამშისნაჭრით გაწმინდა“ (შალამბერიძე, 1978), „...მაგიდაზე ქუდი და ყვითელი ზამშის ხელთათმანები ეწყო“ (იაშვილი, 1978), „...ზამშის... საფულე ამოიღო...“ („თბილისელები“, 2007, №22), „როგორ მოვუაროთ ზამშეს ფეხსაცმელს“ („სარკე“, 2010, №24), „ზამშეს ქურთუკიანმა მაშაკამ კი მაგიდიდან ბუკლეტი აიღო...“ („სარკე“, 2004, №14). ქართულად მისი შესატყვისია *ნატი*. „ყველაზე ხარისხიანი ნატურალური ტყავის, ნატის (ზამშეს) და ლაქის ფეხსაცმელია“ („სარკე“, 2007, №28),

სამწუხაროდ, კიდევ არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება. სრულიად გაუგებარია, თუ რა პრინციპით ენიჭება სიტყვებს საერთაშორისოს იარლიყი. იქნებ მიზეზი ისაა, რომ ვიღაცამ თარგმანისას შესატყვისი არ იცოდა ან ვერ დაუძებნა ქართულში სინონიმი, შესაძლებელია ეს უცხოური ენის ცოდნა და ამით თავისი „განსწავლულობის“ წარმოჩენაცაა. საგანგებოდ მოვიძიეთ ევროპულ ენებში – ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ლექსიკონებში ზოგიერთი ზემოგანხილული სიტყვა.

ზამში მხოლოდ პოლონურსა და რუსულშია, ფრანგულსა და გერმანულში სხვა ფუძეებია (*peau de ფრ.*, *Wildleder* გერ.); *კელიონი* ბერძნულშია, *კელია* – რუსულში (გერმანულში ისევ სხვა ძირია – *Klösterzelle*); *ზარმი* მხოლოდ ფრანგულსა და ისევ რუსულში დასტურდება (გერმანულში კვლავ სხვა სიტყვაა *Zauber*); *პროტოკოლი* რუსულშია (ფრანგულში *Procès-verbal*, გერმანულში *Klosterzelle*); *ტენისი* ინგლისურსა და რუსულშია (გერმანულში კვლავ სხვა ძირია *Üben*)... შედარება შორს წაგვიყვანს.

მაშ, თითო-ოროლა ენაში ხმარებული სიტყვები რატომ მაინცდამაინც ქართულისათვის უნდა ჩაითვალოს საერთაშორისოდ?

მიკერძოებად რომ არ მიიჩნიონ და მხოლოდ ჟურნალისტებსა და მწერლებზე შეტევად არ მიიღონ, ენათმეცნიერებსაც შეეხებით.

რა დიდებული კომპოზიციები დაუძებნია ენას *პარატაქსისა* და *ჰიპოტაქსის* გადმოსაცემად: *თანწყობა* და *ქვეწყობა*. მით უმეტეს დამკვიდრებულია *რთული თანწყობილი* და *რთული ქვეწყობილი* წინადადებები და განა ეს უხერხულობას ქმნის? თუ უპირატესობას სიტყვის სიმარტივეს, გამოყენების სიმარჯვეს ვანიჭებთ, ქართული სიმოკლითაც და სისხარტითაც უმჯობესია.

მოვიყვანოთ მაგალითად *კონსონანტსაც*, იქნებ ცუდად „ჟღერს“ ქართულად *თანხმოვანი*? მსგავსი მაგალითები ასევე: *ნაზალური – ცხვირისმიერი, მეტათეზისი – გადასმა, ნარატიული წყობა* კარგად ვერ გადმოსცემს *თხრობით წყობას*?... სამწუხაროდ, არაერთი უპირატესი, სრულფასოვანი შესატყვისის დასახელება შეიძლება, ჩამონათვალის გაგრძელება კი აქაც შორს წაგვიყვანს.

დასარულ ვიტყვით, რომ საჭიროების გარეშე სიტყვების შემოტანა ლექსიკის გამრავალფეროვნებას, გავრცობას კი არა, გამოფიტვას, სიმწირეს უწყობს ხელს, ენის გამდიდრებას კი არა, მის გაღარიბებას იწვევს. ორტერმინიანობის დამკვიდრება ყოვლად გაუმართლებელია. ქართულ ენას არ სჭირდება ისეთი სიტყვებით შევსება, რომლებიც მას თავად აქვს და დუბლეტებით, ვითომდა სინონიმებით გამდიდრება არღვევს სესხების ერთან პრინციპს: უცხოური სიტყვები გადმოგვაქვს, როცა საკუთარი არ გავაჩნია. ვითომდა საერთაშორისო სიტყვა-ბარბარიზმები არა მარტო ამახინჯებენ, აღარიბებენ მშობლიურ ენას, არამედ ხელს უწყობენ ენების ერთმანეთში უსისტემოდ აღრევასაც (და არა დაახლოებას), რასაც შედეგად მოსდევს საკუთარი ენის მთლიანობის მოშლა.

ლიტერატურა

ბასილია, 1991 – ნ. ბასილია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი.

ბერიძე, 1988 – ვ. ვესენსკი, „ლეგენდებისა და სინამდვილის კვალდაკვალ“, თარგმანი ი. ბერიძისა, თბილისი.

ბურჭულაძე, 2008 – მ. ბურჭულაძე, „ფრენა ყავარჯნებით“, თბილისი.

„იდუმალების სამყარო“, 2006 – გაზეთი „იდუმალების სამყარო“, №43, თბილისი.

გეწაძე, 1963 – ა.სახინინი, „ორთაბრძოლა“, თარგმანი ა. გეწაძისა, თბილისი.

თოფურია, 1965 – ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

იაშვილი, 1978 – ვ. არდამატსკი, „გრანტი“, თარგმანი, ი. იაშვილისა, თბილისი.

ლუტიძე, 2012 – მ.ჯორჯტაუნი, „მასონები“, თარგმანი ლუტიძისა, თბილისი.

ორბელიანი, 1992 – გრ. ორბელიანი, „მუხამბაზი“, ქართული მწერლობა, ტ. 9, თბილისი.

ფასმერი, 1986 – М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. II, М.

შალამბერიძე, 1978 – ა. ბერკეში, „ნიმფიანი ბეჭედი“, თარგმანი გ. შალამბერიძისა, თბილისი.

ჩარკვიანი, 2003 – ჯ. ჩარკვიანი, რჩეული ლექსები, I, თბილისი.

ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩხეტიანი, 2013 – დ. პენინგი, „ბუმერანგი“, თარგმანი გ. ჩხეტიანისა, თბილისი.

ჭაბაშვილი, 1986 – მ.ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

ძოწენიძე, 1997 – საზღვარგარეთის დეტექტივი, III, თარგმანი ნ. ძოწენიძისა, თბილისი.

ჟურნალები: „გზა“, „გუმბათი“, „ელიტარული ქრონიკა“, „თბილისელები“, „რეიტინგი“, „სარკე“, „ფენომენი“.

Vakhtang Maghradze

International terms or barbarisms

Summary

Neologisms, loan translation and borrowings from the other languages are considered as one of the most important sources of vocabulary enrichment of a particular language. Today's authors (of scientific works, original or translated literature) are captivated by utilization of foreign words.

We borrow words when we don't have our own; so called barbarisms not only deface and make mother tongue poor, they also facilitate unsystematic confusion of the languages (rather than their closeness to each other), that will cause the disintegration of the uniformity of the mother tongue.